საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-76

18/01/2021

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის“ ნარჩენების ინსინერაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (მათ შორის წარმადობის გაზრდა) პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. თბილისში, სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის“ ნარჩენების ინსინერაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (მათ შორის წარმადობის გაზრდა) პროექტზე სკოპინგის დასკვნა N1 (12.01.2021);
2. სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N1 (12.01.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საბურთალოს რაიონის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი